

ნაპაღ ული

საყმაწვილო ჟურნალი



მცირე ფლორანთათვის

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1 ბუღბუღი და ბავშვები	199
2 ქურდი დავიჭირეთ	201
3 უმადური მურია	204
4 შეიდი წლის გმირი ქალი.	206
5 თავის თავგადასახალი	208
6 ციყვი და მგელი	221
7 ჰერკულესის ამბავი.	222
8 საზალისო სამუშაო და გასართობი: ა) როგორ შეიძლება ერთი ჩხირით ათი ჩხირი აიღოს, ბ) ჯაჭვი, გ) "ჯა- ჭვის გაწყვეტა", დ) შირადა, ე) გამო- ცანა	226

№ VIII.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1905



ტფილისი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამოცე. ქართ. ამზანავაობისა
1905



საქართველოს
საქართველოს

Дозволено цензурою 8-го марта 1905 г. Тифлисъ

ბუღბუღი და ბავშვები



ად გვიწერები, ჩიტუნიაჲ,
 რომ შორდები ჩვენსა მხარეს?
 რისთვის აკლებ შენს ტკბილ ჭიჭიკს
 აქაურსა მშეს და ძოვარეს?

„რა ვქნა, ჩემო პაწიებო,
 აქ გვეძლება საბუღბუღი;
 სხვაგან გვდევნის თქვენი ქვეყნის
 სიცივე და ავი დარი.

„იქ მივდივარ, სადაც ესლა
 არც სუსხია, ქარიშხლები,
 ფოთლები ძირს არა სცვივა,
 მშეს არ ჭფარავს ნისლ-ღრუბლები;

„რადგანაც აქ ვეველაფერი
 სამთარს ელის თანაბარსა,
 თეთრ სუდარას შემოიკრავს,
 ძოვად გაჭეინავს მთა და ბარსა.

„მაშინ თქვენ შინ შეიუყუვით,
 მიიხურავთ მაგრად კარსა;
 მაგრამ მე რა მეშველება,
 ვერ ავიტან ცივ სამთარსა!“

— როდის მოვალ, ჩიტუნია?
ჩვენთან კიდევ დაბრუნდები,
თუ იქ დასდებ მუდამ ბინას,
სადაც ახლა მიფრინდები?

— „ფიქრი ნუ გაქვთ, ისევ თქვენთან
მოვალ, ჩემო ზატარებო!
ვერც იქ გავძლებ სამუდამოდ,
ცოტა ხანს გავატარებო.“

— „აქ რომ ვეკლგან თოვლს აიღებს,
სითბო დაჰკრავს დიდებული,
ეინვის ბორკილს რო გავლევავს,
ჩუხჩუხს იწუებს ნაკადული;

— „მაშინ მოვალ, თან მოვიტან
ახალ-ახალ სიმღერებსა
და სიამით მოვუენ უოველ
კარმიდამოს, ტყუეველებსა!“

— „მაშინ მოვალ, ბუნება რომ
გაიღვიძებს, გახსნის გზებსა,
თქვენც ლამაზად რო ისწავლით
წეროკითხვას და ლექსებსა!“

თეოფ. კანდელაკი.



ქურდი დავიჭირეთ

(რუსულთ)

ქრთი მდიდარი გლეხი იყო. ისე ბლომად ჰქონდა ყოველი სარჩო, რომ სახლში ვეღარ სტეკვდა და საკუჭნაო აიშენა და იქ შეინახა, რაც რამ მეტი ჰქონდა. მდიდარი სომ ვერ დამშვიდდება და მუდამ შიშშია. ჩვენი გლეხიც ასე იყო: ძილი არა ჰქონდა, სულ ქურდის ფიქრში იყო. დამე რამდენჯერმე ადგებოდა კარმიდამოს დასათვალიერებლად. ერთხელ საკუჭნაოსთან რაღაც ფეხის სმა მოესმა. განაბა სული, მიუგდო უური... კიდევ რაღაც ფიქნია! ახლო მივიდა და გაჭხედა: მეორე კუთხიდან ვიღაც უცქერის. წაიწია წინ, უცნობმაც წამოიწია. რამდენჯერმე გადაჭხედეს ასე ჩუმად ერთმანეთს და მერე ქურდმა ჩურჩულთ უთხრა გლეხს:

— რაო, ძმობილო, შენც სამუშაოდ გამოსულხარ?

— როგორც ხედავ.

— მამ ერთად წავიდეთ, ნამოვარიც და ცოდოც სანახევრო იყოს.

— ძალიან კარგი, მაგრამ საით წავიდეთ?

— რა ვიცი, ძმობილო, მეც გამოუცდელი ვარ, ეს ზირველი გამოსვლანა. შემინან კიდევ, მაგრამ რას იხამ! მოდი ეს საკუჭნაო გავტეხოთ, ამის ჰატრონი მდიდარია და ვიპოვნით რასმეს.

პირველად ბრძანდები, — გაიფიქრა გლეხმა: — მამ კადანა
 ხვეჭ და მეორედ ველარ მობრძანდები.

— კარგი, გავტყვით, მაგრამ რითი?

— არ ვიცი, იქნება აქვე ვიპოვნოთ რაღაც და კარი ჩამო-
 ვაგდებინოთ.

— დაიცა, დაიცა, აგერა მუქს რამდენიმე გასაღები. მე უფ-
 რო ანგარიშიანი ვყოფილვარ. იქნება მიუდგეს ერთ-ერთი, — და
 კიდევ გააღო კარი.

შევიდნენ.

— აგერ დიდი სკივრი, ეგ გატყვუ, — უთხრა გლეხმა და
 თითონ კი მიბრუნდა ცულის ან კეტის მოსაძებნად, რომ ქურ-
 დისთვის დაერტვა.

— რად მიხდა სკივრი, ნეტავ ერთი ჰური მამოვინა...
 მერე ახალ გამოძცვარ ჰურის სუნიცა სდგას? — სთქვა ქურდმა
 და მიისედა-მოისედა.



— აგერ, აგერ ვიპოვნე! — ამ სიტყვებით სახლის ჰატრონმა
 მიასწოდა ქურდს ჰური.

იმან ორთავ სელით გამოჭელივა ჰური და სარბად დაუ-
წყო ჯამა.

— როგორ ილუკებები, ვახშამი არ გიჭამია თუ?

— ვახშამიო! ვახშამი-კი არა, ეს მეორე დღეა, ჩემო ძმაო, წელის მეტი გემოთ არა მინახავს რა.

ამ სიტყვებზე გლესს კინაღამ სელიდან გაჭვარდა ქურ-
დისთვის მომხადებული კეტი. იმან კი გაათავა ერთი ჰური,
აიღო სტოლიდან მეორე და სთქვა:

— ესლა-კი მადლობანს მოგახსენებ, ძმობილო. დემერთი
გვაპატრებს და შენც მომიტევე.

— დაიცა, სად მიხვალ?— ჩავეითხა გლესი: — აქ ბევრი სარჩოა:
რაც მოგესვდეს, წავიღოთ.

— ეჰ, მე არ მინდა და შენც არ გირჩევ, მადლობა დემერთს,
ჰურს მივაგენი! ერთს კვირას აღარა მინდარა. ავადმყოფ ცოლს
და ბავშვებსაც გავაძლობ.

— მამ მოდი, აგერ ეს ჰატარა ტომარა ფქვილი წაიღე
სახლში... ნუ გეშინიან, თამამად წადი და, თუ გკითხონ, უთხარ:
თვით სახლის ჰატრონმა მომცა-თქო.

— როგორ თუ სახლის ჰატრონმა!?— შეჭევირა გადაფითრე-
ბულმა გლესმა და მუსლები ჩაეკეცა. — ნუ დამღუპავ, ორი დღეა
მძიერი ვარ, ცოლი ავადა მეავს და შვილები...

— ადექ, — უთხრა გლესმა: — წაიღე ფქვილი და წადი სახლ-
ში. დემერთმა სელი მოგიმართოს. მსოლოდ როცა გაგიჭირ-
დეს, სხვის საკუჭნაოში კი ნუ დაიწეებ ჩერხეტს, ჰირდაპირ
ჩემთან მოდი...



უმაღური მურია



აბურღა ძაღლი მურია,
ძირს ჩამოუშვა ურები;
აღურსის ნაცვლად უოველ დღე
გულს უკლავს საუკედურები.

მთელ ტანზე ქეცი მოედო,
გასცვივდა კუდზედ ბაღანი;
„წახდა მურია“, ამბობენ,
ზედ აფურთხებენ ვეკლანი.

არვინ კითხულობს, მურიას
რომ მუდამ შია, სწეურია;
ზატრონძაც ხელი აიღო,
ეგარკვის ნამსახურია.

ერთ დროს მამაცი ტოლებში,
დღეს ფესზედ ველარ დგებოდა;
მუდამ ნადირით მამლარი
ესლა შიმშილით კედებოდა.


ვის ასსოვს ძურას აძაგი,
ოჯახს და ეზოს უვლიდა;
დღე-ღამე აღარ ეძინა,
ათასჯერ შემოუვლიდა.

დაღონდა, ბედსა ეძღურის
გულგატყნისი ძურია.
მოკვდა ერთგული მსახური
პატრონის უძაღურია.

ოდისელი.



შვიდი წლის გმირი ქალი



სიარულად მოდიოდნენ ბავშვები
სასწავლებლიდან.

ეს ამბავი მოხდა ბოჭქუთაში,
ორი თუ სამი კვირის წინად შობის
დღესასწაულამდე.

ბავშვებში შვიდის წლისაზე დი-
დი არაუნა ეოფილა. გზაში ერთი საწისქვილე წვალი იყო,
რომელიც ეოველთვის იზიდავდა ბავშვების უურადღებას.

იმ დღეს ძალიან ციოდა და წელის ნაპირი გაეინული
იყო. შუაში წვალი არ გაეუნა, რადგან ამ ალაგას მდინა-
რე ძალიან ჩქარი იყო.

ბავშვებს ძალიან უეუარდათ ფეხით ეინულის გატეხა. ეი-
ნულის ნატენი ჯერ ჩაიძალებოდა წვალში, მაგრამ ძა-
ლე გამონდებოდა და გატეხებოდა მის ჩქარ ზეირთებს. ბა-
ვშვები ძალიან ეტანებოდნენ ამ გვარ თამაშობას და ეველზე
უფრო კი კენცელ გროლი. ერთსელ, როცა კენცელს უნდა
გაეტეხა ქუსლით ეინული, აუსნლტა ფეხი და დაეეირებაც
ვერ მოასწრო, ისე ჩავარდა წვალში. ამხანაგებს ისე შეეძინ-
დათ, რომ ვეღარც კი მიეშველნენ წვალ წაღებულს და მხოლოდ
ევიროდნენ: „კენცელი ჩავარდა წვალში! კენცელი ჩავარდაო!“

გველას შეემინდა, ერთ ჰატარა ქალს გარდა. ის იყო შვიდწლის წლის ქალი ჰედვიგა ჰეისლერი, მეზობელი კენცელი რა დაინახა ჰედვიგამ, რომ მისი ჰატარა ამხანაგი ჩავარდა წებულში, ცალი ხელი ბუჩქს ჩაჭმჭიდა და ცალიც სახელოში სტაცა წებულ წაღებულს. კენცელი შემინებული იყო, ვერაფერს ახერხებდა, მაგრამ ქალი ამხნევებდა და როგორც იყო გამოათრია ნაპირსე.



შინ რომ მივიდა კენცელი, ტანისამოსი გაუხული ჰქონდა. მაგრამ კიდევ კარგი, რომ ციუმა აბანომ არა ავნო რა. დედამ მაშინვე ლოცინში ჩააწვინა და დააღვინა ცხელი ჩაი. მეორე დღილას თითქო არაფერი მომხდარაო, ისე წავიდა სკოლაში ჰატარა კენცელი და იმასთან ერთად მისი მხსნელი ჰედვიგა.

ნიკო.



თაგვის თავგადასავალი

(ფრანგულით)



თაგვთა ჩამომავალთაგან ჰირველი მე ვტოვებ ჩვენის ცხოვრების აღწერას. საოცრად კი არ დაგრჩეთ: უნდა იცოდეთ, რომ ჩემ სამშობლოს წარმომადგენდა ოთახი სწავლულის კაცისა და ჰირველი ჩემი სიუმაწვილე ბუნების-მეტყვე-

ლის და განთქმულ პროფესორის კაბინეტში გავატარე.

მე ძველის-ძველ ჩამომავლობისა განლაგართ. დედა ჩემი იყო კეთილშობილი, ესე იგი დაბადებული და გაზრდილი კარგ სასასლესში, სადაც იკვებებოდა შაქრის ჰურბით და გოზინაყით. მაგრამ ამ ქვეყანაში უცვლელი არა არის რა: ერთხელ, საუბედუროდ, დედაჩემი დაეპეტნათ მებაღის სკივრში, რომელიც ჰარიზში მიდიოდა, და მეც ამ გვარად საფრანგეთის დედა ქალაქში დავიბადე. მართალი უნდა მოგასსენოთ, ჩემი ბავანი არ იყო შესანიშნავი! მე გაფხნდი სის ფესსაცმელში, რომელიც სამი ზამთარი ეტარებინა იმ სასლის მეკარეს. დედაჩემი იყო მშვენიერი ქერა არსება, მისი ჭკუა და გამსჭირახობა საქებურად იხსენებოდა. არა ერთხელ უამბნია ჩემთვის, გაოცებული დაურჩი, ახლად

დაბადებული სრულიად შავი რომ დაგინახე, დარწმუნებული ვიყავ, ქერა შეოლებოდიო. შავი ფერი ავადმოყოფის საბრძოლველად იოხსო და ამის გამო მეტად ფრთხილად მზრდილა. თუმცა სუსტი ვახისა ვეკონე, დედა გონებრივ შწრთვინდა და ეოველ სიკეთით მამობდა. სახელად ძელანო მეწოდა, რაცა ბერძნულად შავს ნიშნავს. დედაჩემის მუდმივმა ზრუნვამ და გაფრთხილებამ გასჭრა: ვახსალი და ისეთი ლამაზი არსება გავიზარდე, რომ ეველა აღტაცებით მიუყრებდა, ჩემი ორი დაიკი მურიით დაისოცნენ.

ერთ დღილას დედაჩემმა ტირილით მავოცა და მითხრა: „ძელან, დროა, თავი უნდა დაგანებო! ჩვენ, ზირუტყვნი, ჩვენ შეილებთან ვართ, მანამ საჭირონი ვართ მათთვის. მე ეოველივე გასწავლე, რაც კი შეძელიო. შენ ისეთი ემსიანი რამა ხარ, შენი შავი ქურქით, ლამაზი სახით, ცოცხალ თვალებით და გონების სიმჭრიახით, რომ, იმეღია, ქვეყანას თავს შეაუვარებ. ახლა შენად იცხოვრე, მაგრამ არ დაივიწყო უკანასკნელი დარიგება დედიშენისა: სიფრთხილე არის ზირველი მცნება თავისა; ნუ იქნები გაუმაძღარი; სწამე, რათა იცხოვრო, მაგრამ მხოლოდ ჭამისთვის კი ნუ იცხოვრებ; თუ რომ მშიერი ხარ და ეველი შეკსვდა, ფრთხილად მოციცქნე, ძალიან ნუ ამოეუღრავ; ერთდღე ღამის სმაურობას; დღისით ნუ გამოჩნდები ოთახებში; ორ ბოროტ არსებას ერთდღე — კაცს და კატას: ზირველს შენ იცნობ მის ამჟამტავებით და თავმოყვარეობით, მეორეს — ცბიერებით, ბეწვიან ქურქით, სავკრდივით რბილ თათებით... მეტად სუსტი და გაუბედავი ხარ, შეილო, მინდა აგამორო ეოველივე განსაცდელი, ამიტომ ამოვირჩიე ისეთი მუუდრო ალაგი, სადაც დამშვიდებით იცხოვრებ.

დასასრულ, წამიუვანა ერთ ალაგაფის კარებთან, ამიუვანა მეორე სართულში და კარებთან შედგა. მასწავლა შემომა: გაიწე-

რილა სსეული და შეძურა; მაგრამ მე რომ მივბაძე, მწარედ დავიწრუწუნე ტკივილისაგან. ამ ოთახის სივრცეში, მწაფანდ წიგნებით და სხვა და სხვა საბუნების-მეტეველო ნივთებით მორთულმა მიიქცია ჩემი ურადღება და გადაძვიწვა ტკივილი. განცვიფრებული ვსინჯავდი ლამაზ სის თაროებს და მასედ დალაგებულ სხვა და სხვა მშვენიერ უდიან წიგნებს და წიგნებით სავსე შუმიან შკაფებს.

დედაჩემმა ჩვეულებრივის სიფრთხილით ამიუგანა წიგნსაცავის შემო თაროზე: აი შენი სადგომი, მითხრა დედამ, ხუდავ, რა საუცხოვო ბინა გექმნება, რა გპელი გასაფალები! აქ საშიში არა მოგკლის რა, თუ ჭკვიანად მოიქცევი და არ ინძაურებ. ისეირნე და ათვალე რე ამ წიგნების წარწერები, შეიტყე, ვის რა დაუწერია ამ ქვეყანაში. ჩვენი ჯისისანიც ბევრნი სწავლობენ და განთქმულნი გამოდიან. ოღონდ აქ არა დახრა-რა, კარგი ქურდი შორს მიდის საქურდავად, შენც აგრე მოიქეც: სხვაგან წადი საზრდოს საშოვნელად, ერწმუნე დედიშენის გამოცდილებას, რომელსაც უყვარხარ და კეთილი სურს თავის შვილისათვის. მშვიდობით, ჩემო ძეგანო, ფრთხილად იეავ! ახლად შენი დების დაბინავება უნდა ვიზრუნო. რამდენიმე დღის შემდეგ მოვალ შენს სახასხავადო.

ასე ძეგანაზარკა კეთილი დედაჩემი. მეც დავეცხე ტირილით, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ მისი დარიკება უსაფუძვლოდ მიძახნდა: მე შეგონა ჩემი მსჯელობა უფრო სწორე იქნებოდა და დედობრივი გრძნობა უოველივეს აზვიადებს.

მარტო რომ დავრწი, მივისეგ-მოვისედე, უოველივე დავათვალე რე, როგორც წიგნები, ისე თაროები, ძალიან გავერთე და აღტაცებული ვიეავ. შევესე ოქროს, ვერცხლს, ნახშირს, სულ ვეგლას, რაც იქ მოიბოვებოდა და თვით ციდან ჩამოვარდნილ ქვას, რომელსაც აეროლიტს უწოდებენ. მთელს კაბინეთს შემოვუარე, დავიქანცე და მომშივდა კიდეც. ვეგლად ვნა-

სე, მოვიწონე, მაგრამ ერთი ბეწვა ვეკლის ნაჭერი არ შექმნა დრია, არც ჰურის ნამცეცი. მართალი უნდა მოგახსენოთ თუმა ვეკლაფერი მოსაწონი იყო, მაგრამ საუკეთესო ნივთს გავეციდიდი მცირე ვახშაშხედ. მაგრამ სად რა ვიძოვნო, საიდან გაუმერე? ჰირველი იყო ჩემი თავისთვის ზრუნვა. მომაგონდა დედაჩემი და მისი მზრუნველობა. გაუბედავ სასიათისა გამო დიდ ხანს ვუოუბობდი, არ ვიცოდი რა შექმნა. აქედან გასვლაც შემინოდა; მეგონა, ის ორი საშინელი არსება, კაცი და კატა, ვეკლვან შემხვებოდნა და თავიდან ბოლომდის ქრიამულა აძიტანა.

მიმძილი კი არ მასვენებდა. რაც გასდეს, განდეს-მეთქი, ვსთქვი, უკუგაბდე დედიჩემის დარიგება, ჯეცი ერთ დიდ ედიან წიგნს, რომლის მშენიერი ქალღიდი უფრო გემრიელად შექვენა, ეს გასლდათ დიდებულის სწავლულის კიუვიეს თსუ-ლება. ჰირველ დღეს გამოვხარი მინერალოგია, ესე იგი სწავლა ქვებისა, მიწისა და ლითონისა; მეორე დღეს შევექმეცი ბოტანიკას—სწავლა მცენარეებისა, საწამლავეებისა და საფაღარათო ბალახებისა. ის იყო სოლოგოგის გაგვარ კბილი, ესე იგი ცხოველების აღწერას, როდესაც სმაურობა შემომქმდა...

საბრალო ქმნილება! რა უბედურებაა იმისთანა ცხოვრება, როდესაც ვეკლას უნდა ვეძალებოდე და ვეკლასი შემინოდეს, ვეკლა მდევნიდეს! სისხლი გამიძრა მარღვებში, თვალთ დამიბნულდა, გული საშინლად მიცემდა; ასე მეგონა, მისი მაგამუგი გამცემდა; ჭირის ოფლმა დამასხა. ერთის სიტყვით, უკანასკნელი დღე იყო ჩემი, რადგან ვიცან ის საშიში ცხოველი, რომელიც დედამ აძიწერა, ეს გასლდათ კაცი! თვალებზე მოლურჯო მინები გაეკეთებინა, ხელის ნაბიჯით გამოიარა ოთანო. რაღაცა მზრუნველობა ეტეობოდა სასესე, ხელში ქალღიდი და კარანდაში ეჭირა. მე მიუხერებოდი ვოველ იმის ნაბიჯს... მოახლოვდა წიგნთ-საცავთან, თვალი გადაავლო, ხელი წაბუ-

ლო იმ წიგნს, რომელიც მე დავსარი... ვერ ავიწვრთ იმის
 გაბრაშებას და შეწუხებას, როდესაც დაინახა გამოხრული ვეფხვი
 ხეები და შეჭმული ფურცლები. წიგნი გაუარდა სელიდან:— „ჩემი
 კიუვი!— წარმოსთქვა თვალცრემლიანმა.— შეჩვენებული ჰირუტ-
 ევი, ბარბაროსი! სასიზღარმა თავკმა შემიჭამა საუკეთესო წიგნი
 დიდებულის კაცისა!“ ოჰ, ნეტავ იმ დროს მიწას შთავენთქე!
 მივსვდი, რა დიდი შეცდომა მომივიდა, ვიტანჯებოდი და სინა-
 ნული მიქნჯნიდა გულს. ღმერთო, როგორღა ვიცოცხლო! რა
 სამინელ მდგომარეობაშია საბრალო თავკვი, ნორჩი, გამოუცდე-
 ლი ამ ქვეყანაში...

კაცი მომშორდა, მაგრამ სვეატეე მის დაღვრემილ სახეს,
 რა შურის მიებასაც მიპირებდა! მაშინ მომიცვეს ბნელმა ფიქ-
 რებმა და მივსვდი, რომ ცამ მომივლინა ღირსეული სასჯელი,
 რადგან ეური არ ვათხოვე დედინემის დარიგებას. ესღა მტერი
 მდარაჯობდა და თავისთვის უნდა მეშველა, მსწრაფლად და
 ჩუმად უნდა გაგზარულიყავ...

მეტად გაგებულდა ჩემთვის ის დღე, სულ იმ შიშში ვიყავი,
 რომ მტერი არ მოსულიყო. როდესაც ჩამობინდდა და გა-
 ვედი იმ ოთახიდან, თავისუფლად ამოვისუნთქე, რომ ასე აღვი-
 ლად გადავრჩი განსაცდელს. მაგრამ რამდენიმე დღის მძიერ
 მუცელსეგდ მეორე სართულიდან ჩამოსვლამ სამინლად დამა-
 სუსტა. შიშშილი მსწუსებდა. იფიქრეთ ჩემი სიამოვნება, რო-
 დესაც შევედი საკუჭნაოში და დავინახე მინის ჭურჭლით მშვე-
 ნიერი კარბი, მის გვერდსეგდ კუპატის ნარჩენი, ეველი, სხვა
 და სხვა. შურაბები, შაქარი და ჰატარა ქილით მშვენიერი ნა-
 დები. ამის დანახვასეგდ აღტაცებულმა დედას სავეედური გა-
 ვუბედე, რატომ ჰირველმივე აქ არ დამსახლა-მეთქი.

რადღა ბეჭრი გაგიგებლოთ, ამის შემდეგ სასრდო არ დამკლე-
 ბია, გავსუქდი, გავემშენიერდი, შავი ბეწვი უფრო ჩამიშუქდა და
 თხუნელასავით ჰრიალი დავიწვეე; მხოლოდ წელში აღარ ვიყავ ისე

წვრილი და სიძარდეძაც მიკლო, ეს კი ცოტა არ იუოს მანუ-
 ხებდა. საბედნიეროდ, მარტო ვიყავ, არავინ მანუსებდა და დავ
 სეირნობდი ჩემს ნებაზე უძიძრად. დღეში ორჯელ მოსამსახუ-
 რე გოგო შემოვიდოდა, საჭმელი გაჭქონდა და შემოჭქონდა,
 იმის მეტი ამ წმიდათა წმინდაში არავინ შემოდოდა. დედი-
 ჩემის სწავლამ იმოქმედა და ძალიან ვფროსილობდი: უოველ
 საჭმელს ცოტ-ცოტაობით ვჭამდი, თავდაჭერით; შაქრიდან გა-
 დავსტებოდი ვეელსედ, იქიდან მურაბასედ, ისე მოვციცქნიდი,
 რომ თვალი ვერ შეატებოდა.

ერთი წელიწადი ასე უზრუნველად გავატარე. არა მკლდა-
 რა, მაგრამ მარტობამ საძინლად შემაწუსა. ვუიქრობდი კიდევ,
 გამომეცვალა ჩემი ცხოვრება, როდესაც ერთ ღამეს უცნაური
 სმაურობა შემომესმა. უური მიუუგდე, ცახცახით ძლივს ვიკა-
 ვებდი გულის ცემას... ოჰ, რა სინარულს და ბედნიერებას მო-
 ვესწარ, როდესაც მივხვდი, რომ ჩემ მსგავს არსებისგან იუო
 ეს სმაურობა. ძლივს ველირსები მეგობრის ნახვას, რომელიც
 გააქარვებს ჩემს მარტობას! გავექანე, მივვარდი იმ ალაგს,
 საიდანაც სმაურობა მომესმა... ვინ აღწერს ჩემს სინარულს,
 როდესაც დედაჩემი ვიცან. „მელანო, საეუარელო შეილო!—
 წარმოსთქვა დედამ ტირილით, —ნუ თუ კიდევ გხედავ ერთის
 წლის შემდეგ? მე კიდევ გამოგიტირე! ხედავ, შენმა ჯავრმა რო-
 გორ დამაბერა!“

ათასჯერ დავკოცნე საეუარელი დედა და ვუამბე ჩემი თავ-
 ქარიანობა, რომელმაც პროფესორის სადგომი დამატოვებინა.
 დედაჩემმაც მიამბო, ერთი კვირის შემდეგ მივედი წიგნთ-საცა-
 ზი და თაროებზე საძინელი არსება—კატა—ღამხვდა, ვიუიქრე,
 ჩემი მელანო უკვე მკვდარი იქნება-მეთქი.

მას აქეთ მუდამ თურმე სტიროდა საწუალი დედა. მიამბო,
 რომ ჩემი ღები და ამხანაგები ჩემის სიუმაწვილისა ძალე გადმო-

სასლდებიან აქეთ, რადგანაც მათს სადგომს დანგრევას თურმე უპირებენ.

დიდხანს აღარ გვალოდინა ამ სასოგადოებამ და ვეკლანი იმ ღამესვე მოვიდნენ. საშინლად გვიამა ერთმანეთის ნახვა, შეგვექნა დაუსრულებელი ხვევნა-კოცნა და ალერსი. ჩემს ბედნიერებას სასლვარი არა ჰქონდა. დროებას მსიარულად ვატარებდით, სასრდო არ გვაკლდა და საერთო ვახშმებს ვმართავდით. შეგვექნა დაუსრულებელი სმურობა და სისარული.

დედაჩემი ჰკიცსავდა ჩვენგან ატეხილ სმურობას და გაუფრთხილებლობას, მაგრამ ვინ იყო გამგონი, ვსმურობდით, ვძღვროდით და შევექცეოდით.

ერთმა თაგვმა დედაჩემს „ბებერო ებედო!“ დაუძახა, დედამ აღარ მოითმინა და მიგვატოვა, მხოლოდ შესთხოვა ცას, არ დაესაჯა ჩვენი გამოუცდელი სიქმნაწილე. თუმცა დიდად შემაწუხა იმისმა მომორებად, მანც არ გავეყვი. მე უმაღური, განვაგრძობდი მსიარულ ცხოვრებას. ბუდიც არ ვკლავდებოდა და უძიძრად მთელის სასოგადოებით დავეცემოდით სოლმე საკუჭნაოს.

ამასობაში, რასაკვირველია, სწრაფად ქრებოდა ეოველივე სასოვაგე: ერობ, ქონი, ტკბილეულობა, ვეკლა ჩადიოდ ჩვენს გაუძამლარ მუცელში. მზარეულმა მრავალი კარგი შესაქცევარი დაგვიკეტა, სწორედ ისეთი, რომელსაც განსსვავებით ვაფასებდით თაგვები. ერთს, ჩემთვის სამწუხარო, დღეს, გაუფრთხილებლად ჩავძვერი უჯრაში, სადაც ინახავდნენ დანაჟილ მახარს. ვიჯექ და შევეძვეოდი მშვენიერს ნაფხვენს, როდესაც უცებ ამიტანა შიშმა. გავიგონე, რომ ვიღამაც შეურჭო განსალები და გასწია უჯრა. დავინახე ათჯერ ჩემსე დიდი სული, რომელიც ჩემსკენ მოიწვედა... შიშისაგან მთლად დავიფხანტე. გავიქეცი გონება დაბნეული—ისევ ჩემ მტერს ვეცი და ტანისამოსზედ დავვიდე, გოგომ შეჭქნა წივილი. ამ წივილმა მე უფრო გადაძ-

რია, დამალვა მინდოდა, ვისკუპე და შიგ ჯიბეში კი ჩავუკმარე
ქალმა უფრო დანიწილა და მთელი სასლი ფესხედ დაუქნა.

ვიგრძენ, რომ აქ სასეირო არა
იყო რა და იატაკზედ კადმო-

ვსტი. შიშმა ფრთები შექანა.
იმ დროს, როცა უნდა კარებ-

ში გავსულიყავ ერთმა მოსა-

მსახურემ, სხვებზედ უფრო ძარ-

დმა, ფესი დამადგა კუდზედ, ჩემ
მშვენიერ განსწებებულ გძელ
კუდზედ, და მომწვევითა ნასევა-

რი. „ეაი, გაძექდა!“ წამოიძახა
უბედურმა. მართლაც, თუცა სა-

მინელი ტკივილი ვიგრძენ, მაგ-

გრამ მოვეურცსლე, ვცდილობდი
შეგვევებინა კვნესა და ტი-

რილი. დაჭრილი, გასისხლია-

ნებული შევძვერ ზირველ სორო-



ში და იქ უძწეო ავადმოფი მოველოდი ღამეს: სამინელი
წუურვილი მტანჯავდა, სიცხე მიწვაავდა გულ-ღვიძლს.

ბოლის საკუჭნაოში შევედი, სადაც დამისვდნენ განცვი-
ფრებულნი ჩემი დამძანი. ეოველივე გაეტანათ იქიდან, არა
დაეტოვებინათ რა და სანოვაგეს მაგიერ ჰატარა მავთულის
გაღიები დაეწოთ თითო ნაჭურ. მშვენიერ ქონით, რომლის
სუნი ცხვირში გვიღიტინებდა და მადან გვიღვიძებდა.

დავიწვეთ ამ გაღიებზედ ბასი.

ბევრი ვუარეთ გარს ამ გაღიებს, და რამდენიმე გამოც-
დილმა თავმა დაასკვნა, რომ ეს თვალ მიძხიდავი სასლები
მანკები უნდა ეოფილიყო. შემინდნენ და თითქმის ვველანი
სწვავან წავიდნენ საზრდოს სამებნელად. მე კი ისე მტკიოდა

ჩემი ჭრილობა, რომ წასვლა არ მიფიქრია. მივიძღვე ერთ კუთხეში წყურვილისგან ტანჯული. დილის 5 საათზე გონდა ის ქოთანის, რომელშიაც ნაღებს ინახავდნენ, მაგრამ ვერას გნით ვერ ჩავაწვდინე ენა, რადგანაც სავსე არ იყო. ვუკლიდი ვარს ქოთანს, ვცდილობდი როგორმე ჩამეყო შიგ ზირი, მაგრამ ამაოდ. უცებ გამისწვტა ფეხი და ჩავვარდი შიგ ნაღებში. ვერ არ შემეშინდა, რადგანაც, ვიფიქრე, ამოსვლა არ გამძიმებდა მეთქი, და სრულიად მოვიკალე წყურვილი. მაგრამ როდესაც ამოსვლა დავაპირე, ამაოდ დავიწვე ტრიალი უოველ მხარეს. მინის ქოთანის კედლებსკად არ მიდგებოდა ფეხი და ისევ შიგ ვცურდებოდი. შემინებულმა ათასჯერ დავაპირე ამოსვლა და იმდენჯერვე უკან ჩავვარდი. რამდენჯერმე მთლად ჩავიურეუძელავე სქელ ნაღებში. გონება მერეოდა, მეგონა საშინელი სიკვდილი მომიანლოვდა-მეთქი უკანასკნელი ძალა ვისძარე და ისე ძლიერად შევანძრე ქოთანის, რომ წაშლიყვა, დაეცა ძირს და დაინტვრა; მე კიდევ თავს ვუშველავ მაგრამ დაღაღუნისგან თითქმის მკვდარივით დაგვედე ძირს. ძალა აღარა მქონდა მოძრაობისა, ჩემი ჭრილობაც სელმეორედ გამესხნა და საშინლად მასწუსებდა. ვინანე, რომ სიკვდილს გადავრჩი, რადგან აღარ მქონდა ღონე გაქცევისა და ჩემი შეჩვეული ალაგი შეიქნა ტანჯვის და შიმშილის სადგურად. ვერ ვიამბობთ საშინელ წამებას, რომელიც მე იმ ორ დღეში ავიტანე. ორი დღე მე ორ საუკუნედ მეჩვენა.

ჩემმა ფრთხილმა ამხანაგებმაც მიმატოვეს და არც ერთმა არ იფიქრა, ერთი ბეწო ზურის ნამცეცი მანც მოეწოდებინა ჩემთვის. გამახსენდა დედაჩემი, მისი მზრუნველობა, სწავლა-ღარიკება. ჩემი ტანჯვა-წვალება მივაწერე ჩემს უმადურებას: ღირსეულად ვიუბე დასჯილი განგებისგან. გამითუნდა მესამე დღე შიმშილ-წყურვილისა. ვეცადე ზატარა გამეკლო, და ერთ სათაგურთან მივედი, რომელსაც მოერიდნენ ჩემი ამხანაგნი. საუ-

ცხოვრობდა ქონის სუნი მეცა და მადა აღმობრა. დამპყულები კუჭმა მეტი ველარ ბიტანა. შესაძლოა, ჩემი ამხანაგები სცდებოდნენ-მეთქი, ვიფიქრე და ჩემს გულში მშიშარებადაც დავსახე. შევცქეროდი შესავალ კარს, ვუაუზობდი, ვუფიქრობდი, მაგრამ რაკი ქონის ნაჭერი დავინახე, ერთბაშად შევარდი, გავათავე ქონის ნაჭერი და მოვიკაღე შიშხილი. შემწვარმა ქონმა ისე გაშიტაცა, რომ გამოსვლა არც კი შეგონდებოდა. მაგრამ, ღმერთო, რა მომივიდა, როდესაც გამოსვლა მოვინდომე! ათასი რკინის ბრჭყალი მეცა ცხვირ-პირში და უწყალოდ შეაწრაფდა. მე გულადად მოვუტრიალდი კარს, არ ვიძლიედი უოველგვარ ცდას, მაგრამ ამაოდ!

ძალე მივხვდი, რაც მომელოდა. ჩემი ამხანაგები მართლად იყვნენ, რომ მოერიდნენ: მე მახეში ვიუხვ გაბმული. დავიწვეე გამძაგებული სირბილი ჩემს გაღიაში, მერე მოდალული და ვეცი სიკვდილის მოლოდინში. სიკვდილს გპირულად და ღირსეულად მოველოდი. რა დასანანია სიცოცხლე, რომელიც ჩვენ, თავგათავის, შეადგენს მუდმივ ბრძოლას კაცობრიობასთან... კატებთან... მაგრამ დედის მოგონება კი, რომელსაც გაგიჟებით უუვარდა თავისი ძეგანო და ველარ ნახავდა, გულს მიკლავდა. ოჰ, რატომ არ გავეე საუვარელ დედას! ველარ შევიძაგრე თავი და მწარედ ტირილი დავიწვეე, ამ სევდით ვიუხვ მოცული, როდესაც საუკუნაოს კარი გაღვეს, გულისფანცქალით ვუუერებდი იმ ქალს, რომელიც ამას წინად ისე შევაძინე. ქალმა მაშინვე შემნიშნა და სისარულით შეჭყვირა: „მღივს არ დაუჭერია! მაგრამ რა უცნაური თავგია! აკი ვამბობდი, მწვი იყო მეთქი და ბატონმა კი არ დამიჯერა.“

წაავლო მახეს ხელი და შემივებნა იმ კაბინეთში, სადაც გაბატარე სიემაწვილის ჰირველი დღენი. მაშინვე ვიცან ის ჩემი მეცნიერი, ჩემგან შეჭმულ კიუვიეს ჰატრონი. პროფესორი საუვარდელში იჯდა და სწერდა. რვეულის თავში დიდრონის ასოე




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბით იყო წარწერილი: „ცხოვრება ძღვრულ ცხოველებისა.“ პროფესსორმა ცნობის-მოკვარეობით დამატვადიერა: რა ღამა-მასიათ,—წარმოსთქვა,—საბრალთ არსება, რა რიკ შეძინებულა! მარინა, კი არ მოჰკლა: მავი თაკვი უფრო იმუიათია, ვიდრე თეთრი და, თუ შევიჩვიეთ, სსკებთან ერთად შევინახავთ. მეცნიერმა განავრმო კითხვა, მასეც ვკვრდსედ მოიდვა. მარინა გავიდა. მე ისევე ჩემ უაფასში დავრჩი. ცოტასანს უკან მეცნიერი ადვა, მომიტანა სელით საჭმელი, ჰურის გული და სორბლის მარცვლები, მაგრამ მე ისე ვიუავ ადელევებული, რომ შიმშილი არ მიგვრძნია. უცბად მომაგონდა იმისი სიტყვები: „თუ შემიჩვიდა, ჩემთან იქნებათ, და ბევრი აღარ ვალოდინე, მიუუახლოვდი და დავუწვევ ჭამა. შევნიშნე, რომ იამა, გაიდიმა, მერე ჯობიდან მაქრის ნატკისი ამოიღო და გამომიწოდა. მეც დავუწვევ მავთულებიდან სრამუნე, თან შიმში ვიკავებდი.

„უცსოა! — წამოიძახა პროფესსორმა, — დამინაურებულიც უოფილა!“ — ესა სთქვა და ერთ დიდ მშვენიერ გაღიამი შემსვა, სადაც მრავალი სანოვაგე იყო და მურად სცხოვრობდნენ თორმეტიოდე თაკვი სსვა და სსვა ფერისა. ეს თაკვები შესანიშნავი იუენენ სილაბასით ან სსეობით. როგორ

აგიწერთ ჩემი სისარული, როდესაც იქ ვისილუ დედაჩემი! მაშინვე დავიხიქე მის წინ; იმხანაც მაკოცა სისარული და ვეფხველეთ ლებით და მომილოცა: „ტკბილ და ბედნიერ ცხოვრებაში ვართ ჩვენ აქ,—მითხრა დედამ.—მართალია, დატყვევებულნი ვართ, მაგრამ ჩვენი ბატონი დიდი შურუნველია ჩვენი. ამ მეცნიერმა შეადგინა რამდენიმე წიგნი ბუნების-მეტეფელებისა და ამ ქამად სწერს მოთხრობას მღრღნელ ცხოველებზედ, ესე იგი: ვირ-თავგებზედ, თავგებზედ, ციუკებზედ და სხვებზედ. ჩვენც მას ვუნდივართ სწავლის განვითარებისთვის, კარგადაც გვინახავს, ასე რომ თუმცა თავისუფლება არა გვაქვს, მაინც აქ ცხოვრებით მოგებაში ვართ, კარგად გვასაზღოვებენ და გვივლიან.“

რადა თავი შევბწეინოთ, სრული ბედნიერი და მთელის სასლობის სავევრელი თავივი განლაგართ. მეც ვცდილობდი დამეტკიცებინა ჩემი მადლობა და გაუუძინაზურდი, მივრბივარ მათ მახილზე, ვუნებივრდები, სელიდან ვწამ, ჯიბეებში ვუძვრები და ამო-



ვაცლი, თუ რამე ვნახე, აღარ შეძინიან სმაურობისა. ეველანი მანებივრებენ, ტკბილ ჰურებს და მურაბებს მაჭმევენ. ევლთსა-

ბამიც გაძიკეთეს წითელ ტუბანსა, რომელიც ღამასად მოსწონს ჩემს შავ ბრწყინვალე ბეწვსად. უველას ვუძადდი და ვუძადდი ლაქუცები, მარიანძაც კი მანატია ჩემი ოინი. თავისუფლებაც არ მაკლია, რამდენიც მინდა, დავსეირნობ ჩემის მეცნიერის მაგიდაზე. ღამე ჩავეწვები სოლმე სავარძელში და როცა მომსურდება დედიჩემის ნახვა და ჩემი მეგობრებისა, შევდივარ გალიაში. ჩემი ბატონის მაგიდაზედ და იმის მელნით ვწერ ჩემ თავგადასავალს.

მხოლოდ სამწუხაროდ ჩემის მკითხველებისთვის პროფესორმა თავისი კალამი შეინახა და ჩემი კალამი არ არის მისებრ ნიჭიერი; მსურს კი გავართოთ რითიმე და თავი მოვაწონოთ, იქნება სარგებლობაც მოგიტანოს ჩემი ცხოვრების აღწერამ. სიურმესა და სიემპწვილეში ფრიად საჭიროა დარიგება გამოცდილებისა და ღმერთმა იმიტომ მოგვცა ჩვენ უველას დედა, რომელმაც უნდა გვიხელმძღვანელოს და დაგვარიგოს.

კნ. ანასტასია ამილახვრისა.



ციყვი და მგელი

(ლ. ტოლსტოისა)



ციყვი დასტოდა ხის შტოებსზედ. უცებ დასწლტა, ძირს ჩამოვარდა და მძინარ მგელს დაეცა თავზედ. მგელი წამო-სტა, უნდოდა შეეჭამა. ციყვა სვეწნა დაუწყო, გაძიშვიო. მგელმა უთხრა:

კარგი, მაგრამ მითხარ, რადა ხართ თქვენ, ციყვები, უოველთვის მხიარულნი და მეკი ასე მოწეენილიო? როცა კი შემოგხედავთ, სულ თამაშობთ და სტუნავთ უდარდელადაო. ციყვა მიუგო: ჯერ შეხედ აძიშვი, შემინიან შენი და იქიდან კი გატყვიო.

მგელმა გაუშვა. ციყვი ასტა შესე და უთხრა: შენ იმიტომ ხარ მოწეენილი, რომ ბოროტი ხარ: გულს გიწვავს შენი ბოროტება. ჩვენ კი გულკეთილები ვართ და მხიარულადაც აძიტომ ვცხოვრობთო.

მაკა ნაკაშიძე.



ჭერკულესის ამბავი

(გერმანულიდან)

ჭერკულესი იყო შვილი მამა-ღმერთის ძეგისა და ალკმენასი. ალკმენას ქმარი ამფიტრიონი შეფობდა თებბში. ამფიტრიონი მამინაცვბლი იყო ჭერკულესისა, მკერამ საკუთარი შვილივით უეუბრდა. ამფიტრიონსა და ალკმენასს მკორე შვილიც ჭეუბდათ, იფიკლესი.

ჭერკულესი და იფიკლესი აკვანში როდი იწენენ: მათი საწოლი გამართული იყო დიდ რკინის ფარში; როცა ძილის დრო დაუდგებოდა ჰატარებს, ამ ფარს ურწებდნენ. ჭერკულესი არანსოდეს არ სტიროდა.

ქალ-ღმერთი ჭერბ ძაღიან გულმოსული იყო ალკმენასე და უბარის ამოსაურელად ჭერკულესის მოკვლას განიზრანსა.

შუა ღამე იყო; ამფიტრიონსა და ალკმენასს ეძინათ; ეძინათ აგრეთვე ბაუშეებსაც თავიანთ ფარში, რომელიც დედის საწოლის ასლო იდგა. ამ დროს ოთანში შემოძვრა ორი დიდი გველი და ფარისაკენ წავიდა; თვალეუბი ცეცსლივით ანთუბული ჭქონდათ და ოთანსი ისე განანათეს, თითქო დიდი ცეცსლი ეოფილიეოს განაღებული. ფართან რომ მივიდნენ, თავეუბი ასწიეს და ჭერკულესს კებნა მოუნდომეს. ფარი შეინძრა, იფიკლესს გამოეღვიბა და, გველეუბი რომ დაინანსა, საშინელი უვირილი მორთო, ისე შეშინდა. გაეღვიბა ალკმენასაც და სი-

ნათლე რომ დაინახა, ამფიტრიონიც გააღვიძა: წამოხტა ამფიტრიონი, კედლიდან სძალი ჩამოიღო და გველებს მძახდა.

ჰერკულესმაც დაინახა გველები, მაგრამ ოდნავაც არ შეშინებია: გაეცინა, კისერში ხელები წაავლო ორთავებს და ისე მაგრად მოუჭირა, რომ კებნა ვეღარ მოახერხეს; შემოესვივნენ ტანსე, მაგრამ ჰერკულესმა არ უშვა ხელი, სანამ ორივე არ დაახრჩო; როცა ამფიტრიონი მივიდა ფართან, ოთახში უკვე ბნელოდა, რადგან ძველარ გველების თვალები აღარ ანათებდა. დაუძხნა მსახურებს, ჭრახი მოატანინა: ჰერკულესმა დაძხრვალი გველები უჩვენა და გახარებული იცინოდა.

ბავშვობისასაც ძალიან ზორბა იყო ჰერკულესი და ბევრ სორცსა და პურს სჭამდა, სამაგიეროდ ტკბილეულობა არ უეჯარდა. ისწავლა წერა-კითხვა; ცხენოსნობაც კარგად იცოდა; მშვილდისრის სძარებასა და ჭიდაობაშიც ძალიან ეოხაღი იყო.

ჰერკულესი ერთობ გულკეთილი იყო, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: გული რომ მოუვიდოდა, მეტად ბრახინი იყო და ავს რასმე ჩაიდენდა; შერე კი თვითონვე ინანებდა, იტირებდა, მაგრამ კვიანდა იყო—საქმე ამით ვერ გასწორდებოდა.

ერთი მასწავლებელი ჰქავდა ჰერკულესს; სახელად ლინოსი ერქვა; ლინოსი ჩონგურს ასწავლიდა. ერთხელ როგორღაც ჰერკულესმა ეური არ უგდო მასწავლებელს და ამანაც გაღახა იგი; ჰერკულესი გაბრაზდა, ჩონგური აიღო და თავში დასთხლიძა—საბრალეო ლინოსი იქვე მოკვდა.

ამის შემდეგ ამფიტრიონმა ვეღარ შეინახა სახლში თავისი გერი და მთაში გაგზავნა, სადაც მისი ჯოჯები სძოვდა. ეს მთა სძირის ტყით იყო შემოსილი და ამ ტყეში ცხოვრობდა ერთი დიდი ლომი. ბევრი საქონელი გაეფუჭებინა ამ ლომს, მწვემსებიც ბევრი დაესოცნა და მშველელი კი არავინ იყო. ჰერკულესი შესჯდა ლომს და რკინის დიდი კეტით მო-

ჰკლბ. ამიტომ იყო, რომ ამფიტრიონმა ანატია დანამხული და
 თებაში დაბრუნების ნება მისცა.

თებელებს ვოველ წელიწადს ასი ხარი უნდა ეძლიათ მუ-
 ხობელ ძეფის ერკინოსისათვის, და ჰერკულესი ძალიან სწუს-
 და, რომ მისი სამშობლო ქალაქი ხარკს აძლედა სხვას. ამი-
 ტომ როცა ერკინოსის კაცები მოვიდნენ ამ ხარკის ასაკრუ-
 ფად, ჰერკულესმა ცხვირი და უურები დასჭრა და ისე გაი-
 სტუმრა.

მეფე ერკინოსი ძალიან გაჯავრდა და დიდის ჯარით წა-
 მოვიდა თებას დასასჯელად. თებელ ჯარის სარდლად ჰერკუ-
 ლესი დანიშნეს და საღსიც ძალიან განხარებული იყო—იმედი
 ჰქონდათ მტერზე გამარჯვებისა.

ღმერთებიც მფარველობდნენ ჰერკულესს: ქალღმერთმა
 ათინამ ოქროს ჯავშანი აჩუქა, ჰერმესმა სძალი და აპოლონი-
 მა მშვილდ-ისარი. გაიმარჯვეს თებელებმა; მეფე ერკინოსი
 მოჰკლეს და მის სამეფოს ხარკი დაადეს.

ცოლი შვირთო ჰერკულესმა, შვილებიც ეყოლა და ტკბი-
 ლად ცხოვრობდა თავის სამშობლოში. მაგრამ ქალღმერთი
 ჰერა არ უსვენებდა: ისე განადა ავად, რომ სულ გაგიჟდა;
 საკუთარი შვილები მსეცებად მოეჩვენა, აიღო მშვილდ-ისარი
 და ეველა დახოცა. მერე გონს მოვიდა და, რომ ნახა თავისი
 ნამოქმედარი, ისე შეწუხდა, სახლ-კარს თავი მიანება და ტყუ-
 ში გაიქცა.

მველმა ბერძნებმა იცოდნენ, როდესაც საქმის გადაწყვეტას
 ვერ მოახერხებდნენ, ღმერთ აპოლონს მიჰმართავდნენ რჩევის
 საკითხავად. შკეითსვის ადგილი ტაძარი იყო, სადაც მისანი
 იჯდა და ამ მისნის ზირით ატეობინებდა აპოლონი თავის
 რჩევას. როცა რომელიმე მეფე ომის დაწყებას გაიფიქრებდა,
 აპოლონის ტაძარში გაგზავნიდა კაცს რჩევის საკითხავად, და,
 თუ აპოლონი შეატყობინებდა მისანის ზირით დაძარცვდებო,
 ომს თავს დახნებდა.

უფრო განთქმული დელფის ტაძარი იყო; აქ ქერკული ქალი აძლევდა რჩევას ვეელას, ვინც საკითხავად მივიდოდა; ქერკულემ ქალს ზითიას ეძახდნენ. დელფის ტაძარს დიდ ზატყის სცემდა ხალხი და სასუქრები და ძღვენიც ბევრი მოჰქონდა.

გაუბედურებული ჭერკულესიც დელფში მივიდა და ზითიას ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო, რომ თავისი დანაშაული გამოეყიდა და გულიდან საშინელი დარდი მოეშორებინა.

ზითიამ უთხრა: წადი ქალაქ ტირინსში და ემსახურე მეფე ვერისტენეს; რაც უნდა გიბრძნოს, ვეელაფერი მოთმინებით აუსრულე. ვერისტენესი თორმეტ საქმეს დაგავალებს; თითოეული მათგანი ისე საშიშია, რომ ადვილად შეიძლება დაიღუპო, მაგრამ თუ მსხედ და მოთმენით იქნები, ღმერთები დაგეხმარებიან; როცა ამ თორმეტ საქმეს შეასრულებ, ისევე გამსიარულდები, კმაყოფილი იქნები და სიკვდილის შემდეგ ღმერთად გახდები.

ვერისტენესი მეტად ავი, ბოროტი კაცი იყო, თან ერთობ შშიძარა და სძულდა ვეელა, ვინც კი მამაცი და კეთილი იყო. ჭერკულესი წავიდა ტირინსში, მივიდა მეფესთან და უთხრა: ახოლონმა მიბრძანა გამსახურო; მზადა ვარ ვეელაფერი ავასრულო, რასაც კი მიბრძანებო.

რბ დაავალა ვერისტენესმა ჭერკულესს, ამას შემდეგ ნომრებიდან შევიტეობთ.






სახალისო სამუშაო და გასართობი

როგორ შეიძლება ერთი ჩხირით ათი ჩხირი აიღოს.


დასდეთ ერთი ჩხირი და სვეიდან ჯვარედინათ დააწვეთ რიგზედ, ერთი ერთმანეთთან თავ-შექცეულად, ჩხირები, ხუთი ერთის მხრით და ოთხი მეორეს მხრით, სვეიდანაც შეათე აბჯდეთ (იხილეთ № 1). როცა ეს შეასრულოთ, მოკიდეთ



ფრთხილად, სანამ აწერია ორი „ა“, თითი და ხელა ასწიეთ. ეველბ ათი ჩხირი ატყეუება ამ ერთ ჩხირს, როგორც არის ნახვენები № 2. შეიძლება ერთი ჩხირით ათზე მეტი ჩხირიც აიღოს.

ჯ ა ზ ვ ი

რკინის ჯაჭვი ბევრნაირად გამოხადდება ოჯახში. ჯაჭვს სძარობენ სარდლისათვის, საქონლის ან ძაღლის საბამად, ანუ ლამპას ჩამოკიდებენ ჭერში. ჯაჭვის გაკეთება ადვილად შეიძლება სახლში ისე, რომ ოსტატს არ მიძართოთ და შეირბდაც არ დაჯდეს. ამისთვის სძარობენ უბრალო ქესტს, მას ანუ თეთრს. მკვარ მკვარტლით გამოხსნერით თარგი № 1 და მოკეცეთ შუაში, საცა „ა“-ნი აწერია. ორივე მოკეცილ თავში გაუვარეთ მეორე იმგვარივე თარგი და ესე იმ დრომდე, ვიდრე ჯაჭვი სასურველ სიგძისა არ გამოვიდეს.



ამნაირი ქესტის ჯაჭვი ბლომა სიმძიმეს დაიჭერს და საქონლისათვის მკვარიც იქნება. ემაწვილთათვის სათამაშოდ ქალაღდისაც გაკეთდება ჯაჭვი.

3. 6.

„ჯაჭვის განწყობა“

(ა. შკვლიშვილის რეუულიდან)

მოთამაშენი ჩასჭიდებენ ერთმანეთს ხელებს. ერთი წვერი წამოვა და გაძვრება ჰირველისა და მეორის ხელებს ქვეშ, ისე

რო მეორეს სელები გადაუჯვარედინდეს. ახლა მეორისა და მესამის სელებს შუა გაძვრება. ამ სახით მოქმედებს ვსწვერთა ვიდრე ეველას არ გადაუჯვარედინებს სელებს, ე. ი. ჯაჭვი არ გაკეთდება. შემდეგ ერთ-ერთს წვერში მდგომი დაიძახებს: „ბატონმა სთქვა, წინ წადითო!“ ეველანი ერთად გადასდგამენ რამდენსაძე ნაბიჯს წინ. წვერში მდგომი: „ბატონმა—უკანაო“. ჯაჭვი უკან წაიწვეს. წვერში მდგომი: „ბატონმა—ნიორი დანაეეთო!“ ეველანი ფეხებს აბრახუნებენ, თითქოს ნაუავენო. წვერში მდგომი: „ბატონმა—წინსქვილის ჯაჭვი გაწვევიტეთო.“ თავსა და ბოლოში მდგომნი სწვევენ ჯაჭვს თავთავიანთ მხარეს, ვიდრე რომელსაძე ადგილას სელებს გაუშვებენ მოთამაშენი, ე. ი. ჯაჭვი გაწედება. ეველანი დაიძლებიან და იწვებენ სელახლად თამაშს.

შ ა რ ა ლ ა

(წარმოდგენილი დ. თომაშვილისაგან)

ძაღლს მიუსევენ ერთითა,
ერთიც წინსქვილში თქმულა;
ხოლო ორივე—მცენარე,
საჭირო ჭირნახულია.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(წარმოდგენილი ვლენის შაქრო გაგნიძისაგან)

მივა და მოვა ერთ წამსა,
რაც გინდა იეოს ძორიან,
ერთს ხეს ასხია ორივე,
თელით ბეური არა, ორიან;
არც მეტობს, არცა ნაკლებობს,
რაცა ვთქვი, სწორედ სწორიან.

გამომცემელი კნ. ნ. ე. ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა.
ნ. ზურაბიშვილისა.



ზარბის მართვული მამაკაცი